# ქართული აზრი

> **„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.**
>
> **აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

97 ნიუ იორკი, ოქტომბერი 1974 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, OCTOBER 1974

**1924** **დიდება სამშობლოსათვის აღსრულებულებს!** **1974**

**ნიუ იორკი, ოქტომბერი 1974 წ.**

**პატივცემულნო სტუმრებო, საქართველოს შვილნო,**

არის ერთი ამერიკული თქმულება:
**„yuo can take a man out of the country, but you cannot take a country out of the man".**

განა ეს სიტყვები ჩვენ არ გვეხება, ჩვენ მდგომარეობას არ ემთხვევა, არ შეეფერება? განა ჩვენ ძალით არა ვართ ჩვენს სამშობლოს მოწყვეტილი, მოშორებული, მაგრამ, მაინც მასთან განუყრელად დაკავშირებული? განა ვინმეს, რამეს შეუძლია ჩვენი ხსოვნიდან ამოშალოს წარმტაცი სახე-ხატება ჩვენი ქვეყნისა?

და აი, როდესაც მასზე ვფიქრობთ, მასზე ვოცნებობთ ორი ისტორიული ფაქტი იზიდავს, იპყრობს, უპირველესად ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას: პირველი არის ათას ცხრაას თვრამეტი წლის მაისის თვე, ხოლო მეორე ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის აგვისტო-სექტემბერი. და თუ პირველის მოგონება აღფრთოვანება-სიხარულს იწვევს, ხოლო მეორე უსაზღვრო სევდა-მწუხარებას, ორივე ერთად აღებული გამოუთქმელი რწმენა-იმედის და სიამაყის გრძნობას აღძრავს, აღვივებს ყოველი ქართველის გულში.

ჩვენ ვამაყობთ, რომ საქართველომ ასი წლის მონობის შემდეგ, თავისუფლების დროშა კვლავ ააფრიალა და ჩვენი ერი საერთაშორისო ასპარეზზე გამოიყვანა და ჩვენ ორმაგად ვამაყობთ, რომ პაწია საქართველომ, სამ მილიონიანმა ქართველმა ერმა უსახსრომ, უიარაღომ, ყველასაგან მიტოვებულ-მივიწყებულმა, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ეკვეთა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა მის მჩაგვრელს, ქვეყნის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ წითელი რუსეთის იმპერიას. განა ამაზე მეტი გმირობა, თავისუფლების და სამშობლოს სიყვარული ოდესმე გსმენიათ, წარმოგიდგენიათ?

დამარცხდა ოცდაოთხი წლის აჯანყება. თუ რა ბედი მოჰყვა ჩვენი ხალხის ერთსულოვან ამხედრებას გარეშე მტრის წინააღმდეგ, თუ რა საშინელება დატრიალდა მთელ საქართველოში, ეს თქვენ ვრცლად, მჭერმეტყველურად, ინგლისურ ენაზე დაგისურათა ამ აჯანყების ერთი მეთაურთაგანის და მისი სულის ჩამდგმელის, სოლიკო ზალდასტანიშვილის შვილმა და მე მეტი არაფრის დამატება არ შემიძლია. მხოლოდ გთხოვთ მოიგონოთ თუ რა როლი ითამაშა, როგორ ცეცხლით და მახვილით გაანადგურა თავისი სამშობლო, ქართველი ერის შვილმა — სტალინ-ჯუღაშვილმა, მაშინ მთელი რუსეთის ბატონ-მბრძანებელმა. და აი, ამ აჯანქებასთან დაკავშირებით მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ მეტად უცნაურ და დაუჯერებელ მოვლენას.

როგორც მოგეხსენებათ 1953 წ. სტალინ-ჯუღაშვილი სამუდამოდ გამოესალმა წუთისოფელს. საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ გლოვა-გოდებით გამოიტირა თავისი უებრო ბელადი და დიდის ამბით, ზღვა ხალხის თანხლებით მიაცილა ის მავზოლეუმამდე და იქ კრძალვა-მოწიწებით დაასვენა ლენინის გვერდით.

გავიდა ხანი, მოვიდა იგივე ხელისუფლება, სტალინის გვამი მავზოლეუმიდან ამოაგდო და სადღაც კუთხეში კრემლის კედელთან მიასამარა. თვალის დახამხამებისთანავე მთელ საბჭოთა კავშირში სტალინის ძეგლები დაამსხვრიეს, მისი სურათები დაფხრიწეს და მისი სახელი საქვეყნოდ შეაჩვენეს.

მაგრამ, აი დახეთ ისტორიის ირონიას!

ეს ყველასაგან წყეულ-გმობილი, საჯაროდ ჯალათად აღიარებული სტალინი მოსკოვის ხელისუფლებამ სულგრძელად საქართველოს გადაულოცა, მისი ძვლებ-სურათების მოვლა-შენახვა დაავალა და ის საქართველოს საუკეთესო შვილად გამოაცხადებინა. განა შეიძლება ამაზე მეტად ერის ღირსების შელახვა-დამცირება?

და აი ყოველი უცხოელი, არის ის უბრალო მოგზაური, ოფიციალური პიროვნება, თუ კორესპონდენტი, ჩასული საქართველოში, მოჯადოებული ქვეყნის ბუნებრივი სიდიადე-სიმშვენიერით, მოხიბლული ქართველი ერის რაინდული ქცევა-მოპყრობით, გულუბრყვილოდ, გულწრფელად აუწყებს მთელ ქვეყანას, რომ საქართველო ერთად ერთი კუთხეა, სადაც სტალინის კულტი გამეფებულია და ის ეროვნულ გმირად მიჩნეული.

განა შევვიძლიან გავამტყუნოთ ეს უცხო სტუმრები?

მათ ხომ არ უნახავთ ოცდაოთხი წლის აჯანყების დროს, თითქმის ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ჩამწკრივებული, უბრალო ფიცრებისაგან საჩქაროდ გაკეთებული ხის კუბოები და მათში ჩასვენებული მოხუცებულები, ქალები, ძუძუმწოვარა ბავშვები ტყვიებით დაცხრილულ-დასახიჩრებულები! მათ ხომ არ უნახავთ ის საგანგებოდ, წინასწარ გამზადებული თხრილები, სადაც ასობით და ათასობით ჩაყრილი არიან ციხე-ჩეკის ჯურღმულებიდან გამოყვანილი უდანაშაულო ხალხის გვამები! მათ არ უნახავთ ქართველი ერი შავი ძაძებით მოსილი, დამგლოვიარებული!

დიახ ბატონებო, საქართველოს ჰყავდა მრავალი გმირი. მაგრამ ეს გმირები ქმნიდნენ მის დიდებას, იცავდნენ მის საზღვრებს, მის დამოუკიდებლობას და ხშირად მოწამებრივი სიკვდილით უმტკიცებდნენ მას თავის სიყვარულს და ერთგულებას. და ქართლის ცხოვრების მემატიანე აღნიშნავს რა თვითეული ასეთი გმირის რაინდულ თვისებებს, თითქმის ყოველთვის თან დასძენს: „და იყო იგი ქველი და მდაბალი, გლახაკთა, ქვრივ-ობოლთა და დავრდომილთა მოწყალე.“ აბა მითხარით, რა არის საერთო სისხლისმსმელ სტალინსა და ამ ღვთისნიერ, კაცთმოყვარე ჩვენ გმირებ შორის?!

ჯუღაშვილი-სტალინი, ეს უდიდესი საქართველოს მოღალატე, ჩვენი ქვეყნის ნორჩი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამხობა-მომსპობის უმხურვალესი ხელის შემწყობი, ქართველი ერის საუკეთესო შვილების გამწყვეტ-ამომჟლეტი და ოცდაოთხი წლის აჯანყების ხისხლის მორევში ჩამხრჩობი არ ყოფილა, არ არის და არასოდეს არ იქნება საქართველოს ეროვნული გმირი! ჩვენი გმირება მისი ბრძანებით დახოცილი ოცდაოთხი წლის აჯანყების თავგანწირული მამულიშვილები, რომლებმაც თავისი სიკვდილით უკდავ ჰყვეს ქართველი ერის სახელი მთელ მსოფლიოში.

ბატონებო, ძველი რომის ცნობილი სენატორი, კატონი, ყოველ თავის სიტყვას ასე ამთავრებდა: „მე მაინც ვფიქრობ, რომ კართაგენი უნდა დაინგრესო“

და დღეს მე, ერთი უცნობი ქართველი ლტოლვილი, ასჯერ მეტი უფლებით, ჩემს სიტყვას ვამთავრებ შემდეგნაირად: ყოველგვარი ბოროტება, ჩაგვრა-მონობის წყაროსიმბოლო, საბჭოთა კავშირი უნდა დაინგრეს და მის ნანგრევებზე უნდა აღმოცენდეს ახალი, თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოები!

და მაშინ, მხოლოდ მაშინ, ფენიქსებრ მკვდრეთით აღდგენილ საქართველოს შეუძლია ღირსეულად დააფასოს თავისი შვილების თავდადება-თავგანწირვა და დაადგას მათ უკვდავების ძეგლი-გვირგვინი! ხოლო ჩვენ, დღეს აქ შეკრებილთ გვმართებს ორიოდე სიტყვით მაინც მივაწვდინოთ ჩვენი მადლობა, სიყვარული და თაყვანისცემა ოცდაოთხი წლის აჯანყებულების ძვირფას საფლავებს.

საუკუნო იყოს ხსენება მათი.

**გ. ნაკაშიძე**

(სიტყვა წარმოთქმული ქართული სათვისტომოს მიერ საგანგებოდ მოწვეულ კრებაზე).

**ქალბატონებო და ბატონებო!**

მთავარი ის კი არ არის, თუ როგორ შეაფასებს დამპყრობელი დაპყრობას, არამედ თუ როგორ მიიღებს ამ ფაქტს დაპრობილი.

1921 წელში რუსეთმა დაამხო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და ქართველ ერს წაართვა თავისუფლება. ამით შეძრწუნებული ქართველი ხალხის შეურიგებლობა დღითი-დღე იზრდებოდა და შეუპოვარი უკმაყოფილება ხან ერთ კუთხეში მჟღავნდებოდა და ხან მეორეში. ქართველი ერის მოწინავე პირები გრძნობდნენ, რომ საჭირო იყო წინდაწინ განწირული გამოსვლები თავიდან აეშორებინათ და ეროვნული ენერგიისათვის ერთი კალაპოტი, ერთი მიმდინარეობა მიეცად.

ამ მიზნით შეიქმნა საქართველოს ახალი მეთაურობა, რომელიც იმ პერიოდის ისტორიაში დამოუკიდებლობის კომიტეტის, ანუ „დამკომის“ სახელით შევიდა.

არც არჩევნები, არც კენჭის ყრა . . . ეს მოხდა სრულიად უმტკივნეულოდ და ბუნებრივად. გაჭირვებაში ერს გაუჩნდა ხელმძღვანელობა . . . ხელმძღვანელობამ შეიმცნო ერის ტკივილი და მწუხარება და წარმოშობილი, ახალი მეთაურობა უპასუხებდა ჩვენი ხალხის გულისტკივილს.

დამკომმა მყისვე დაიმსახურა მთელი საქართველოს ნდობა, პატივისცემა და ქართველი ერის ყველა ფენა, ყველა წრე მას დაემორჩილა.

ცხადია, ეს გარემოება ცოტა უცნაურად მოეჩვენება რეჟიმით გატაცებულ ფანატიკოსებს, მაგრამ, იმ დროს, უპირველეს ყოვლისა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იდგა და დამოუკიდებელ საქართველოში თუ მმართველობის რა ფორმა დამყარდებოდა, ამაზე აღარავინ ფიქრობდა.

საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა შეუდგა მუშაობას. მას თან დაჰყვა ყველა ის ნაკლი, რაც დამახასიათებელია, დაპყრობილ ქვეყანაში კონსპირაციული მუშაობისათვის: შეზღუდულობა, უცხოეთიდან მოწოდებული ცნობების შეუმოწმებლობა, სულ მოკლეთა ღალატი და მრავალი მსგავსი რამ.

აჯანყება მოეწყო, აჯანყებულებულთათვის არა ხელსაყრელ პირობებში: აჯანყების ზოგი აქტიური მეთაურის ზედიზედ დატუსაღება, საჭირო იარაღის უქონლობა, გამცემლობა, ზოგი კუთხის ნაადრევად გამოსვლა და ზოგ პასუხისმგებელ პირის უმოქმედობა და გულგრილობა. ამას ზედ ერთვოდა გარედან ყოველგვარი დახმარების უქონლობა და თვით ჩვენი კავკასიელი მეზობლების მიერ მხარდაჭერის მხოლოდ იმედი.

აჯანყება მაინც მოხდა . . . არა იმიტომ, რომ საქართველოს ახალი მეთაურობა ვერა გრძნობდა ამ ნაკლს, არამედ, და მხოლოდ იმიტომ, რომ ზღვის ტალღასავით აზვირთებული ეროვნული გრძნობის შეკავება შეუძლებელი აღმოჩნდა. ერი მიისწრაფოდა თავისი ძალის საცდელად . . . მისთვის მთავარი იყო თავისუფლების ძებნაში სიკვდილი და არა უცხო ძალის ბატონობის ქვეშ სიცოცხლე.

ამას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ სწორედ 1924 წელს ამა სოფლიდან განვიდა ლენინი. თანახმად ტოტალიტარული რეჟიმის პრინციპისა, საქართველოს ახალმა ხელმძღანელობამ წარმოიდგინა, რომ ლენინის შემდეგ წარმოიშვებოდა პირველობისათვის ბრძოლა, რაც დაასუსტებდა მოსკოვს და შეიძლება საქართველოში მყოფ რუსის ჯარშიც შეიტანდა განხეთქილებას.

მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე, 1956 წელში, როდესაც ქართველმა ახალგაზრდობამ იფიქრა სტალინის სიკვდილით დასუსტებულ მოსკოვს უნდა აგრძნობინოს, რომ საქართველოში კვლავ არსებობს დამოუკიდებლობისადმი ლტოლვა და თბილისის ქუჩებში გამოვიდა. ჩვენ ორივე შემთხვევაში, ერთ და იგივე შეცდომას ვხედავთ: როგორც 1924 წ. ისე 1956 წ. მხედველობიდან იყო გაშვებული, რომ ყოველი ფერის რუსეთი, უპირველესად იცავს იმპერიას, მისთვის რეჟიმის საკითხი დაუყონებლივ იხსნება, თუ იმპერიას საიდანმე საფრთხე გაუჩნდა. ჩვენთვის კი არის მხოლოდ ეროვნული პრობლემა და მოსკოვის დასუსტების ყოველ სავარაუდო შემთხვევას საქართველო იყენებს, რომ დამპყრობელს აგრძნობინოს თავისი არსებობა.

ეს არის ხანგრძლივობაში გადასული ბრძოლის ტაქტიკა: დამპყრობელმა უნდა იცოდეს, რომ დაპყრობილი ერის სულიერ-ფსიქოლოგიური სიმტკიცე არ შერყეულა და ის თავის ეროვნულ ტრადიციებზე ხელს არ იღებს.

1924 წელს ერმა თავისი ძალა სცადა. აქ გამომჟღავნდა, რომ რუსეთის და მის მიერ მთავრობად გამოცხადებული ჯგუფის ერთად ერთი დასაყრდენი ძალა იყო რუსული ჯარი და აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლაში, არც ერთ ქართველს მონაწილეობა არ მიუღია.

მართალია აჯანყების მიზანია, ორივე: ფიზიკური და მორალური გამარჯვება, მაგრამ, როდესაც არჩევანია და აჯანყებიდან ორივე არ შეგვიძლიან მივიღოთ, მაშინ უნდა ვამჯობინოთ აჯანყების მორალური გამარჯვება. თუ აჯანყებულმა ერმა მორალურად გაიმარჯვა, ფიზიკური გამარჯვება მხოლოდ დროისა და გარემოების საკითხია. სწორედ საქართველოს ახალ ხელმძღვანელობას ალბად ეს ჰქონდა მხედველობაში, როდესაც სიამაყით აცხადებდნენ „აჯანყება მორალურად ჩვენ მოვიგეთო“.

1924 წლის აჯანყების და იმ დროს გაღებული მსხვერპლის შედეგია, რომ დღეს, საქართველო, როგორც ერი ცოცხლობს. მართალია უცხო ძალის მიერ დაპყრობილი ,მაგრამ მაინც ცოცხალია და შექმნილ ავბედით ჟამში, კიდეც ახერხებს და ანვითარებს საკუთარ ენას, ლიტერატურას, ისტორიას, და ყველა იმას, რაც ერს ეროვნულობის შემონახვისთვის სჭირდება.

ეს არის დამსახურება 1924 წლის აჯანყების და მათი, რომელთა საფლავები გაითხარა მაშინ და მის შემდეგ.

1924 წლის აჯანყებამ განამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. ამას ამტკიცებს დღეს ამ კრებაზე წარმოდგენილი ახალგაზრდობა, რომლებიც 1924 წლის აჯანყების 30-40 წლის შემდეგ დაიბადნენ და სულ სხვა გარემობაში და სხვა პირობებში მოუხდათ საქართველოს დატოვება.

1924 წლის აჯანყებაში დაღუპულ მამულიშვილთა სისხლმა დუღაბად შეკრა საქართველოს ყოველი თაობა და მათ ერთი მიზანი დაუსახა: საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და დამოუკიდებლობის იდეის შენახვა და განმტკიცება.

ჩვენი თაობა მემკვიდრეა 1924 წლის აჯანყების მიზნების და იდეების.

ჩვენ მტკიცედ უნდა დავიცვათ საამაყო მემკვიდრეობა და უზადოთ გადავცეთ მომავალს.

ამას გვავალებს 1924 წლის აჯანყება და მისთვის მიძღვნილ მამულიშვილების საფლავები.

დიდება მათ ხსოვნას!

**გ. ზალდასტანიშვილი**

(სიტყვა წარმოთქმული ქართული სათვისტომოს მიერ საგანგებოდ მოწვეულ კრებაზე).

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აგვისტოს აჯანყება

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო აჯანყების კლასიკური ქვეყანა არის. აჯანყება საქართველოში ყოველთვის დამპყრობელის, უცხო თესლის ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული და ამიტომ ის მუდამ ეროვნულ და ხალხურ ხასიათს ატარებდა და დროსა და გარემოების მიხედვით ზოგჯერ კუთხური, ზოგჯერ მთლიანი იყო.

აბა ვინ მოთვლის რამდენი აჯანყება გადაიხადა ქართველმა ერმა თავის თვალუწვდენელ ისტორიის შარა-გზაზე! მხოლოდ მეფის რუსეთის საქართველოში შემოსვლას ქართველმა ხალხმა მეცხრამეტე საუკუნეში 18 აჯანყებით უპასუხა, ხოლო 1921 წლის თებერვალში, მოძალადე მზაკვრულ წითელ რუსეთს სამი აჯანყებით. 1921 წ. მოხდა აჯანყება სვანეთში, 1922 წ. ხევსურეთში და 1924 წელს მთელს საქართველოში, რომლის დროს დატრიალდა ის დიდი ტრაღედია, რომელიც საშვილიშვილოდ გადაეცემა მომავალ თაობებს — როგორც გმირობისა და თავდადების დაუვიწყარი თარიღი. ამ დღეს პატარა ერი იარაღით ხელში დაეტაკა ბუმბერაზ კომუნისტურ ვეშაპს. დაეტაკა, რადგანაც ვერ აიტანა თავისუფლების დაკარგვა, უსამართლობა და ადამიანური ღირსების შებღალვა. ვერ აიტანა ჩვენი ეროვნული არსებობის ქვაკუთხედის — კერძო საკუთრების — მოსპობა. მტერმა დაიწყო ერის განიარაღება ყველა იმ ღირებულებათაგან, რომლის გარეშე წარმოუდგენელია მისი თვითარსებობა. ერმა ვერ აიტანა თავისუფალი დემოკრატიული წყობის მოსპობა, რომელიც მან ნება-სურვილით შექმნა — რათა ის შესულიყო კაცობრიობის ოჯახში თავისი სახით, თავისი ისტორიით და კულტურით, როგორც თანასწორი და თავისუფალი წევრი.

კაცობრიობას ბევრი ეროვნული აჯანყების ნიმუში მოეპოვება. სხვა ერებსაც მიუმართავთ ამ ტრაღიკული ხერხისათვის, მაგრამ არ არსებობს მთელი ერის ასე ერთდროულად და ერთსულოვანად აფეთქება. ამბობენ, რომ ამა თუ იმ მოვლენის მიზანშეწონილება მისი შედეგებით განიზომება. ჩვენ ეს ვულგარულ მიდგომად მიგვაჩნია. აჯანყების გეგმა მარტო ერის განწყობილებისა და მოუთმენლობას არ ემყარებოდა. ის არ იყო სასოწარკვეთილ ხალხის თავმოძულებული ნაბიჯი, არამედ ის იყო დამყარებული ცივ ანგარიშზე. მტრის ძალების შეფასებაზე. თუ არა საბედისწერო გაუგებრობა, ჭიათურის 24 საათით ადრე გამოსვლა, აჯანყებულებს მტრის საქართველოს ტერიტორიიდან ალგვიდნენ. ჰოდველობიდან არ არის გასაშვები, არც სხვა კავკასიელ მეზობლების შემოერთება.

უჩვეულო ხასიათი მიიღო მოძრაობამ დასავლეთ საქართველოში, სადაც ქალი და კაცი ფეხზე დადგა. ადგილობრივი კომუნისტები და ადმინისტრაცია უმალ თოფის გაუსროლელად დაპატიმრებული იყვნენ და თუ ბრძოლებს ქონდათ ადგილი — ესენი წითელი ჯარის ნაწილები გახლდათ. ასეთსავე ძლიერ გამოსვლებს ქონდათ ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მიშა ლაშქარაშვილის რაზმები მოქმედებდნენ და დედა-ქალაქისაკენ მიემურებოდნენ. დიახ, მთელი საქართველო ჯარასავით დატრიალდა და არც ერთი კუთხე არ დარჩენილა, რომ სამფეროვან დროშის ქვეშ თავისუფლად არ ამოესუნთქოს. აუღებელი დარჩა დედა-ქალაქი, სადაც ჭიათურის ადრე გამოსვლით ხელისუფლებამ თადარიგი დაიჭირა და ჯარის მრავალრიცხოვანი ნაწილები ტფილისს მოაყარა. აღსანიშნავია, რომ თვით ქართველი ერის შიგნით არავითარი ძალა არ აღმოჩნდა აჯანყებულებისათვის ოდნავი წინააღმდეგობა გაეწია.

აჯანყება დაამარცხა მხოლოდ რეგულარულმა რუსულმა ჯარმა, რომელშიც ქართული ნაწილები, როგორც არა საიმედონი, არ ერივნენ. ამ ტრაღიკულ წუთებში, თავის ეროვნულ ერთსულოვანობასთან ერთად ქართველმა ერმა რაინდობა, სიდარბაისლე და უაღრესად კულტურული სიმწიფე გამოიჩინა, მაშინ, როცა შურისძიებით და სისხლით გაბრუებულმა კომუნისტებმა დაუნდობლად და განუკითხავად დაიწყეს ხალხის ხოცვა სოფლად და ქალაქად.

ტფილისში დღისით ჩეკის სარდაფებს ავსებდნენ ციხეებიდან გადაყვანილ პატიმრებით, ხოლო ღამით მათ ეზიდებოდნენ საბარგო ავტომობილები საბურთალოს, ორთაჭალის და კოჯორის მიმართულებით, სადაც მათ სიცოცხლეს უსპობდნენ. ანალოგიური ამბები ხდება, თუ უარესი არა, პროვინციებში. ჭიათურაში თავი მოუყარეს მათ, ვინც ხელში მოხვდათ, ჩაყარეს ვაგონებში, ვითომც ტფილისში გასაგავნად და სვირსა და ზესტაფონს შუა ყველა ტყვიამფრქვევებით დაცხრილეს. მეამბოხეთა სახლ-კარის გადაწვა-გადაბუგვასთან ერთად უპატრონოდ მიტოვებულ ცოლშვილთა მიმართ წარმოუდგენელ სადისტობას იჩენდნენ. სოფელ რუისში (ქართლი) სისხლით დამთვრალი ხელისუფლება სრულიად ამოჟლეტს ფანიაშვილების, კლიმიაშვილების და მამაცაშვილების ოჯახებს. ბავშვები ზოგი აკვანში გასრისეს, ზოგი სარებზე ჩამოაცვეს და ზოგსაც აივნიდან ძირს ისროდნენ. ქალები ჯერ გააუპატიურეს და შემდეგ დახოცეს. კომუნისტები არა თუ ფარავდნენ ამ საზიზღრობას, არამედ, პირიქით, სასახელოდ მიაჩნდათ.

ერის საყოველთაო აჯანყება საერთოდ დიდ მსხვერპლს მოითხოვს და თუ ერი ასეთ ნაბიჯს დგამს, ეს ლაპარაკობს მის დიდ სულიერ სიმტკიცეზე, რომ აქ არის სულიერი გაქანების ბრძოლა და შეუპოვარი წადილი თავისუფლების მოპოებისა. ამ ბრძოლაში ქართველი ერის ზღვა სისხლი დაიღვარა და ნურავინ გადაჭარბებაში ნუ ჩამოგვართმევს, თუ ვიტყვით, რომ ამ ბრძოლამ გადაარჩინა ის და შეუნახა თავისი საკუთარი ეროვნული სახე. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება და ის მაშინ დასრულდება, როცა ქართველი ერი თავის სანუკვარ დამოუკიდებლობას აღიდგენს.

დამოუკიდებლობის კომიტეტის სასამართლო პროცესის დროს იასონ ჯავახიშვილმა თავისი შესანიშნავი სიტყვა ასე დაამთავრა:

„ჩვენ ვიბრძოლეთ დამოუკიდებლობისათვის; აჯანყება წავაგეთ და ისინი, ვინც ამ აჯანყებას ვმესვეურობდით წავალთ გოლგოთაზე.

მაგონდება ერთი არაბული ლეგენდა:

მზემ აღარ გამოანათა და დაიკარგა. სიბნელეს ვერ შეეგუა ერთი ჩიტი, რომელმაც მიზნად დაისახა ქვეყნიერებისათვის მზე დაებრუნებინა: ამ მიზნით მან დაიწყო ფრენა სულ ზევით და ზევით და მიაგნო მზეს. აღარ მახსოვს, მისცა თუ არა ჩიტმა მზე ქვეყნიერებას... თითონ ჩიტი კი დაიღუპა.. ის დაიწვა მზის სხივებში“

ლეგენდის მიხედვით — ჩიტმა ქვეყნიერებას მისცა მზე

**შ. კალანდაძე**

## 1924 წლის აგვისტო

1921 წელში საქართველომ რუსეთთან ომი წააგო. გამარჯვებულ რუსულ ჯარს თან მოჰყვა ხუთიოდე გარეწარი ქართველი, რომლებმაც თავისი თავი საქართველოს მთავრობად (იმ ჟამად რევკომად წოდებული) გამოაცხადა.

საქართველოში ბრძოლები ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, რომ ლენინმა უბრძანა ქართველ კომუნისტებს: წითელი (ე. ი. რუსული) არმიის მიერ საქართველოს დაკავებამ დიდი შფოთი გამოიწვია ევროპაში. საჭიროა ქართველმა კომუნისტებმა ენერგიული პროპაგანდა ჩაატარონ, რომ საქართველოში მოხდა მუშათა და გლეხთა აჯანყება და წითელი არმია მოვიდა ქართველი მუშისა და გლეხის იმპერიალისტური ანტანტის ბრჭყალებისაგან გასანთავისუფლებლადო.

იმ დღიდან მოყოლებული დღევანდლამდე, ქართველ კომუნისტების პროპაგანდას წითელ ზოლათა სდევს ლენინის მიერ ბოძებული დებულება. საფიქრებელია, რომ თვით ქართველ კომუნისტების ახალ თაობას კიდეცა სჯერა, რომ 1921 წლის თებერვალში ადგილი ჰქონდა შინაურ გადატრიალებას და ბოლშევიკებმა შეცვალეს მენშევიკური მთავრობა?

1924 წ. აჯანყების მეთაურები 1925 წლის შემოდგომაზე გაასამართლეს. აჯანყების ლიდერთაგანმა, იასონ ჯავახიშვილმა თავის თავდაცვით სიტყვაში გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები, თუ 1921 წლის შემდეგ რამდენი მუშა იყო დათხოვნილი რკინიგზის მთავარ სახელოსნოდან და მათ ადგილზე რუსი მუშა დაყენებული და დასძინა: „დღეს იმ ზღაპარს, თითქოს საქართველოში მოხდა რევოლუცია და მენშევიკური მთავრობა ბოლშევიკურით შეიცვალა, ა ღ ა რ ა ვ ი ნ იმეორებს. ჩემს მიერ მოყვანილი ციფრები ამოღებულია მუშათა ოფიციალურ სტატისტიკიდან და ნათლადა მოწმობს, რომ აქ არავითარ შინაგან რევოლუციას ადგილი არ ჰქონია და რომ ქართელი მუშა განიდევნა და მისი ადგილი დაიკავა რუსმა მუშამ. კომუნიზმის სახით მეორდება რუსული დაპყრობითი პოლიტიკა“-ო.

50-თი წლის შემდეგ შეიძლება ესეც არ ეჩვენოს ახალ თაობას სარწმუნოდ და ვინმემ იფიქროს, რა მოსატანია დამარცხებული აჯანყების ლიდერის სასოწარკვეთილი სიტყვაო. ამიტომ მინდა მოვიშველიო, გამარჯვებული რუსის ჯარის მიერ მთავრობათ გამოცხადებული ჯგუფის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ქართველ კომუნისტების მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს ოკუპაციის ცხრა თვის თავზე მოხსენებას უკეთებს მოსკოვს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საქართველოში წითელი არმიის შემოსვლა და აქ საბჭოთა რეჟიმის დამყარებამ, მიიღო აშკარა დაპყრობითი ხასიათი, ვინაიდან იმ დროს, შიგნით საქართველოში, არავინა ფიქრობდა აჯანყებაზე. საბჭოთა წყობილების გამოცხადების მომენტში, არამც თუ არ არსებობდა არც ერთი ჩვენი პარტიული იაჩეიკა, არამედ არ იყო არც ერთი პარტიის წევრი, რომელიც მოახდენდა ხელისუფლების ორგანიზაციას და ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს საეჭვო პირებმა, ან უბრალოდ კრიმინალებმაო“ და განაგრძობს, „ჩვენ ახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ უკანასკნელ 3-4 წელიწადში ქართველი ერი მასიურად შესჩვევია დამოუკიდებლობის იდეალო“. ცხადია ეს მოულოდნელი იქნებოდა რუსული ფსიქოლოგიის მახარაძესათვის და უფიქრია, თითქოს ეს უკანასკნელი 3-4 წლის ამბავია, თორე რომელ ჭკუათამყოფელ ადამიანს მოუვა თავში, რომ შეიძლება 3-4 წელიწადში ეროვნული ფსიქოლოგიის ვარდაქმნა, რომ მას არ ჰქონოდა ათეული საუკუნის მანძილზე დამუშავებული ეროვნულ სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ტრადიცია!?

მაგრამ გავყვეთ კიდევ ქართველი მუშისა და გლეხის გამანთავისუფლებელ ფ. მახარაძეს.

„სიმართლე უნდა ვთქვათო —აცხადებს ის, რომ დასაწყისში თითქოს სწორე პოზიციაზე ვიდექით, როცა, ყოველშემთხევაში სიტყვით მაინც, ვაცხადებდით, რომ საბჭოთა რუსეთს არავითარი განზრახვა არა აქვს გააუქმოს საქართველოს დამოუკიდებლობა და რუსის ჯარი აქ მოვიდა მხოლოდ მშრომელი მასის გასანთავისუფლებდოო... საჭირო იყო გვეჩვენებინა ხალხისათვის, რომ მართლაც ვდგევართ დამოუკიდებლობის ნიადაგზე... შეუძლებელია ხალხის მოტყუება, და მით უმეტეს ისეთი ხალხისა, როგორიც ქართველებია, რომელსაც განვლილი აქვს ცეცხლი და წყალი... ჩვენ ბრალსა გვდებენ, რომ ბოლშევიკებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმება სურთ და მათ უნდათ ის გადააქციონ რუსეთის გუბერნიათ, როგორც ეს იყო მეფის რუსეთის დროსო... სამწუხაროთ, ბევრი კომუნისტი ფიქრობდა და დღესაცა ფიქრობს, რომ ეს სწორედ ასე უნდა იყოს... ჩვენ მრავალჯერ განვაცხადეთ, რომ ვაშენებთ დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს, მაგრამ ამ განცხადებას მუდამ თან სდევდა ისეთი ნაბიჯები, რომლითაც უარვყოფდით ჩვენს განცხადებებს... მაგ. „რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება, ნაჩქარევი და მოუფიქრებელი ოყო“-ო და სხ.

სწორედ ამას მოჰყვა ქართველი მუშის განდევნა და მისი ადგილის რუსი მუშის მიერ დაკავება, რომელზედაც ააშენა თავისი თავდაცვითი სიტყვა აჯანყების ლიდერმა იასონ ჯავახიშვილმა.

შემდეგ მახარაძე მიუთითებს მოსკოვს, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო სრულიად უმტკივნეულოდ: თითქოს ორივე სახელმწიფოს შორის სათანადო უწყებებს შორის დადებულ ხელშეკრულებითო.

მაგრამ რუსული 11-ტე არმია და მისი კომისარი სრულებითაც არა ფიქრობდნენ, რომ დამარცხებულ საქართველოსთან საჭირო იყო პოლიტიკური თამაში და საკითხსა სჭრიდნენ, როგორც გამარჯვებულ დამპყრობელს შეეფერება.

აი, ცალი თვალის გადავლებით, ფერმკრთალი სურათი, რომლის თანდათანობითმა განვითარებამ ქართველი ერი მიიყვანა 1924 წლის აჯანყებამდე.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება დამარცხდა... გამარჯვებულმა მტერმა საკუთარ სისხლში აბანავა მთელი ქართველი ერი. მაგრამ ამაზე სიტყვას არ შევაჩერებ, რადგან განვლილ ორმოცდაათ წელიწადში უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა.

ამ შემთხვევაში უფრო საინტერესოა, თვალი გადავავლოთ, თუ როგორ შეაფასა აჯანყება მოსკოვის თვალმა და ყურმა — ორჯონიკიძემ და რა ლიტერატურა დაუტოვა მან ახალ თაობას.

ის სწერს: (ყველა მასალები ამოღებულია „ს. ორჯონიკიძეს სიტყვები და სტატიები“-დან, ტომი მეორე).

„28 აგვისტოს, დილაადრიანად მივიღეთ ცნობა, რომ გათენებისას, დილის 4 საათზე ყოფილ თავადაზნაურთა ჯგუფი თავად გიორგი წერეთლის მეთაურობით თავს დაესხა ძილში მყოფ ჭიათურას, შეეცადა იარაღი აეყარა ჩვენი ამხანაგებისათვის და დაიკავა ქალაქი“.

„მეორე დღეს, 29 აგვისტოს, დილის 8 საათზე, კომუნისტების პატარა რაზმი ჩვენი ამხანაგის ჟორჟიკა ქავთარაძისა და სხვების მეთაურობით თოფის გაუსროლად შევიდა ჭიათურაში და „დამოუკიდებელი საქართველოს“ ეს დროებითი მთავრობა სადღაც გაჰქრა. ასე თავდება „საყოველთაო სახალხო აჯანყება ჭიათურის რაიონშიო“.

უნდა ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქვს კომუნისტურ სითაღლითესთან. ორჯონიკიძეს განცხადება „შეეცადა იარაღის აყრა“, არა ნიშნავს, რომ იარაღი აჰყარა და თუ აჯანყებულებმა ვერ მოახერხეს რუსულ-პარტიული ძალის განიარაღება, მაშ როგორ ღა დაიკავეს მათ ქალაქი? სჩანს, იარაღის აყრა კი არა სცადეს, არამედ აჰყარეს, განაიარაღეს და ქალაქიც დაიკავეს. ორჯონიკიძეს შემდეგი განცხადებით, რომ აჯანყებულებმა 28 აგვისტოს დაიკავეს ჭიათურა, ხოლო მეორე დილას 8-საათზე ამხ. ჟ. ქავთარაძეს და სხვათა მეთაურობით პატარა ჯგუფს „თოფისგაუსროლებლად დაუბრუნებიათ ქალაქი“, უკვე ამხ. კომისრის ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია, რადგან იმავე წიგნის 446 გვერდზე ვეცნობით, რომ, თურმე, „როგორც კი იქცნენ ხალიფებად ერთი საათით, გაჩნდნენ მემამულე წერეთლები და იწყეს იმ მიწების წართმევა, რომლებაც საბჭოთა ხელისუფლებამ მემამულეებს ჩამოართვა და გლეხებს გადასცაო“.

უცნაური ლოღიკა ჰქონია 11-ტე არმიის კომისარს: აჯანყება, რომელიც გათენების 4-საათიდან დილის 8 სათამდე გაგრძელებულა, თავად წერეთლებს მოუსწრიათ გლეხებზე გადაცემული მიწის უკან წართმევა... ასე ლაზღანდარულად ითხზება კომუნისტური ისტორია და მათ მიერ „შეთხზული“ ფაქტები.

იმავე წიგნის 440 გვერდზე ვკითხულობთ: „...სცადეს გამოსვლა, გარდა ჭიათურისა, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის და თბილისის მაზრებში. თბილისის მაზრაში მათ მოახერხეს გარე-კახეთის ხუთ სოფელში შეეკრიბად 30 კაცი, რომლებიც იმ საღამოსვე დაბრუნდნენ შინ და ხელისუფლებას ჩაბარდნენ. ეს ყველაფერი თოფის გაუსროლად მოხდა“-ო.

კომუნისტურ იერარქიაში დაბალი საფეხური მაღალს ატყუებს. ყოველმა მათგანმა იცის, რომ მიწოდებული ცნობა ყალბია, მაგრამ მიღწევებს ერთი მეორეს მაინც ულოცავენ. ასე არის ინდუსტრიაში, სასოფლო მეურნეობაში და ყოველ დარგში. გეგმა ყველგან 100-200% სრულდება, ხოლო წლის დამლევს ირკვევა, რომ თუ „კაპიტალისტურმა“ ქვეყნებმა არ უშველეს შიმშილით სული ამოხდებათ.

მსგავს შემთხვევებთანა გვაქვს საქმე კომისარ ორჯონიკიძეს მიერ შეთხზულ აჯანყების „ისტორიასთანაც“.

გარე კახეთში პოლკ.ი. ცაგურია დიდ ხანს ებრძოდა ქლობას შემცვლელ მიკულინის ცხენოსან დივიზიას... სენაკი, ზუგდიდი და გურიის მრავალი დაბა-სოფლები აჯანყებულთა ხელში დიდ ხანს იყო, ხოლო ორჯონიკიძეს მიერ მოუხსენებელი სვანეთში დიდ ხანს ფრიალებდა ეროვნული დროშა და ბიძინა პირველმა 500 მებრძოლი მიაშველა ქუთაისს.

„იმავე დღეს გვაცნობეს“-ო, აგრძელებს ორჯონიკიძე, — „რომ ყოფილი თავადი ჩოლოყაშვილი ჩეჩნებს, ლეკებს და კახელებს თბილისისაკენ მიუძღვება, თურმე, სულ 15 კაცი ჰყოლია და პირველი გამოსვლისთანავე ის იძულებული შეიქმნა მთებისკენ მოეკურცხლაო“.

ცხადია, ორჯონიკიძეს ინტერესებში არ შედის თქვას, რომ ჩოლოყაშვილმა 11-ტე არმიის ნაწილებით გამაგრებული დუშეთი აიღო და თუ ამისათვის „15 კაცი“ იყო საკმარისი, რატომ უნდა შეეწუხებინა თავი ჩოლოყაშვილს, მეტი ხალხის შესაგროვებლად?

ჩოლოყაშვილმა თავისი მამულიშვილური მოვალეობა ბრწყინვალედ შეასრულა, არა, როგორც თავადმა, არამედ, როგორც ქართველმა პატრიოტმა და დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქემ. მასთან ერთად ათასებმა და ათიათასებმა მიუძღვნეს საქართველოს თავიანთი სიცოცხლე, როგორც ტკბილ დედას.

1924 წლის აჯანყება იყო ხალხური, მასიური. სამშობლოს იდეამ გააერთიანა მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიქრები 26 მაისზე

წერილი მეორე

პირველი კონტაქტისა და გამამხნევებელი პასუხის შემდეგ. ერეკლე სრულუფლებიან წარმომადგენლებს ჰგზავნის ხელშეკრულების ტექსტით, რასაც ტფილისშივე იმუშავებენ. ქართულ რედაქციაში რუსებს მცირე ცვლილებები შეაქვთ და მოლაპარაკება სრულდება შეთანხმებით 24 ივლისს 1783 წელს.

ამ ტრაქტატის ძალით ქვეყნის საშინაო მმართველობაში რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო: ჯარი, ადმინისტრაცია, სასამართლო, სკოლები, ფინანსები, გადასახადები და სხვა, ძველებურად, ქართველი მეფის კომპეტენციაში რჩება. რუსეთი კისრულობს აგრეთვე სამეფო ტახტის ბაგრატიონთა მემკვიდრეებისათვის დაცვას. ხელუხლებელი, მაშასადამე, დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო ქართული ეკლესია. მეფეები ურთიერთს უგზავნიან ელჩებს. ქართველი მეფე იზღუდებოდა მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში — მას რუსეთის მტრები თავის მტრებათაც უნდა მიეჩნია. სამაგიეროდ, რუსეთიც ასე უნდა მოქცეულიყო და საქართველო დაეცვა გარეშე მტერთაგან. ხელშეკრულება შესდგება 13 მუხ. და 4 დამატებითი თავისაგან. როგორც ვხედავთ ამ ხელშეკრულებაში ისეთი არაფერია, რითაც რუსეთს თავისი ნამოქმედარის გამართლება შეეძლოს. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებას საქართველოსთვის საგულისხმო სარგებლობის მოტანა შეეძლო, თავიდანვე რუსეთთან დაახლოვების წინაალმდეგნი იყვნენ ალექსანდრე ბატონიშვილი, დავით ორბელიანი — სიძე ერეკლე მეორისა — და მთავარსარდალი ქართული ჯარის და სოლომონ ლეონიძე. სამწუხაროდ ცხოვრებამ ამათი ეჭვები გაამართლა და ტრაქტატის ხელისმოწერიდან 17 წ. თავზე, 1801 წელს, რუსეთმა საქართველოს სრული ანექსია მოუხდინა.

ქართული ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. ყველა არსებული ეროვნული ორგანიზაციები: ქართული ადმინისტრაცია, სასამართლო, ქართული კანონები, ჯარი, ფინანსიური სისტემა და ფული, გადასახადების ნორმები, სოციალური ფენების უფლებები და ურთიერთ დამოკიდებულება და საერთოდ საზოგადოებრივი წყობილების მთელი სტრუქტურა, რომელიც ქართველი ერის სულიერ მოთხოვნილებებთან იყო შეგუებული და ხანგრძლივი პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შედეგად დამყარებული, ერთის დარტყმით, ერთბაშად უარყოფილ იქმნა და ადგილი დაიჭირა სრულიად ახალი, ქართველებისათვის უცნობი წყობილება ადამიანის უფლებისა და მოვალეობის ახალი განსაზღვრით, უცნობი იურიდიული ნორმებით, უცნობი სოციალური იერარქიითა და აღმასრულებელი ორგანოების არაჩვეულებრივი მრისხანებით.

ქვეყნის მმართველობა ჩაბარდა მთავარმართებელს, რომელიც იმავე დროს რუსული ჯარების მთავარსარდალიც იყო. ის იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მეთაურიც. უფლებრივად ის იყო ნამდვილი დიქტატორი და ბატონი ამ მხარისა, რომელსაც შეეძლო პეტერბურგის დაუკითხავად, საკუთარი გაგებით ემოქმედნა. საქართველოს ტერიტორია დაჰყვეს რუსული ადმინისტრატიული მმართველობის სისტემის მიხედვით და ადმინისტრატიული ერთეულების უფროსებად დაინიშნა რუსეთიდან სასჯელის მოსახდენად გამოძევებული უზნეო, მექრთამე და ლოთი მოხელეები.

რუსეთის ასეთ უხეშ პოლიტიკას მოჰყვა ქართველების წინააღმდეგობა: იწყება ეროვნული თავისუფლებისათვის, ეროვნული სახელმწიფოს აღსადგენად, მთელი საუკუნე გაგრძელებული უმაგალითო ბრძოლა . . .

პირველი აჯანყება კახეთში, ქიზიყში დაიწყო 1802 წლის აგვისტოში და იმ დროიდან 1917 წლამდე ქართველობამ 27 აჯანყება მოაწყო, ე. ი. საშუალო რიცხვით ყოველ ოთხ წელიწადში ახალი ბრძოლებია.

ამ ბრძოლების აღწერას მე არ შეუდგები — ეს საყოველთაოდ ცნობილია. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ მომენტს: რუსები ხშირად იმეორებენ — ჩვენ საქართველოს ზავი და მშვიდობა მოუტანეთ და ამით სრულიად გაქრობისაგან ვიხსენითო. როცა რუსეთმა საქართველო შეიერთა, ორივე სამეფოში მოსახლეობის რიცხვი დაახლოვებით უდრიდა ერთნახევარ მილიონს. ქართული მოსახლეობის ზრდის ნორმას, სულ მცირედს, თუ 2% ვიანგარიშებთ ხოლო იმ დროინდელ მოსახლეობას მხოლოდ ერთ მილიონს, 150 წლისთავზე ჩვენ უნდა ვიყოთ 7-8 მილიონი; სინამდვილეში დღეს თითქმის ამის ნახევარი ვართ. ამის და მიხედვით ირკვევა, რომ რუსეთს ჩვენთვის არც ზავი და არც მშვიდობა მოუტანია. მთელი მეცხრამეტე საუკუნის გასწვრივ, რუსეთი დაუცხრომელ ბრძოლებს აწარმოებდა და ამას ეწირებოდა ქართველი ერის ფიზიკური პოტენციის ნახევარზე მეტი.

პირველ მსოფლიო ომს რუსეთში მოჰყვა რევოლუცია. 117 წლის ბრძოლების შემდეგ საქართველოს შემთხვევა მიეცა ამ ბრძოლების მიზანი განეხორციელებინა და საკუთარი სახელმწიფოებრივობა აღედგინა. მთელი საუკუნე ნაბრძოლი ერი ამ შემთხვევას ხელიდან ვერ გაუშვებდა. სასულიერო წოდებამ საეროს, თითქმის, ერთი წლით დაასწრო და 1917 წ. გაზაფხულზე, უკანასკნელი ქართველი კათალიკოსის დაპატიმრებიდან 106 წლის თავზე — ივერიის ძველმა ეკლესიამ აღიდგინა საკუთარი ავტოკეფალია. იმავე წლის შემოდგომაზე შესდგა სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენლები ყველა არსებული სამოქალაქო, სამხედრო, სასულიერო, პოლიტიკური, კულტურული და პროფესიონალური ორგანიზაციებისა. აქ გამოირკვა, რომ საქართველოში არც ერთ წოდებაში, არც ერთ წრეში, რუსეთს არც ართი მომხრე არა ჰყოლია. რუსულ ჯარში დაწინაურებული ქართველი ოფიცრები, მაღალი მოხელეები, თუ უბრალო მუშები, ყველანი ერთხმად საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე აღმოჩნდა.

1918 წელს მაისის 26-ს საქართველო თავის თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აცხადებს. მკვდრეთით აღმდგარ სახელმწიფოს რთულ პირობებში მოუხდა ცხოვრების განახლება: ოთხ წლიანი მსოფლიო ომით განადგურებული სახალხო მეურნეობა, რევოლუციის შედეგად გამეფებული უწესრიგობა და ანარქია, ძველი წყობილების დარღვევის შედეგად სოციალური საკითხების გამწვავება, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის და საზღვრების საკითხის წამოჭრა, ევროპასთან სავაჭრო და დიპლომატიური კავშირების მოუწყობლობა და მუდმივი საგარეო საფრთხე ორი მხრით: ოსმალეთის პრეტენზიები კავკასიის დასაკავებლად და რუსეთიდან სამოქალაქო ომში მებრძოლი ორივე ბანაკის მუქარა საქართველოს დასაპყრობად. მაგრამ ძალა ძველი კულტურისა და მრავალი საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოებრივი არსებობის ტრადიცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ შედარებით მოკლე დროში ყველა ეს დაბრკოლებები დაიძლია და სახელმწიფო სრულ სტაბილიზაციას აღწევს. საქართველო საერთაშორისო პიროვნებად, საერთაშორისო ოჯახის სრულუფლებიან წევრად იცნეს. ეს იყო საუკუნის ბრძოლებისა და გაღებული მსხვერპლის ღირსეულად დაფასება.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო თვით საბჭოთა რუსეთმაც. 1920 წ. 7 მაისს მოსკოვში ხელი მოაწერეს საქართველო-რუსეთ შორის დადებულ კეთილ-მეზობლურ და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას. ამით საბჭოთა მთავრობა, ყოველგვარი პირობის გარეშე სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, უარს ამბობდა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე და ხელს იღებდა ყოველგვარ პრეტენზიებზე საქართველოს ტერიტორიის მიმართ.

საინტერესოა, და სტალინის პიროვნებისათვის დამახასიათებელი, მისი როლი ამ საქმეში. სტალინი ამ დროს პარტიის პოლიტბიუროს და მთავრობის წევრია, როგორც ეროვნულ უმცირესობის მინისტრი. რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად მოსკოვში ჩასული გ. ურატაძე მოლაპარაკებას აწარმოებს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხში შეთანხმებას ვერ აღწევს. ურატაძე, ძველი პირადი ნაცნობი, დახმარებისათვის მიმართავს სტალინს. სტალინი ყურადღებით მოისმენს, გადაიკითხავს ხელშეკრულების პროექტს, კარგა ხანს დაფიქრდება, მერე სახეზე რაღაც ეშმაკური ღიმილი გადაურბენს და ურატაძეს აღუთქვავს ყოველგვარ დახმარებას. მართლაც, შემდეგ შეხვედრაზე საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებული დათმობაზე მიდის და სადაოდ ქცეული მუხლი — საქართველოს! ურიგზეროთ ცნობის შესახებ — უცვლელად შედის ხელშეკრულების პირველ მუხლად. ამ ამბის მიხედვით ცხადია, სტალინს ქართული დელეგაციისათვის გაუადვილებია მიზნის მიღწევა. შემდეგ მომხდარ მოვლენებს სტალინის მამოძრავებელი ფარული ზრახვებიც რომ არ გამოემზეურებინა, ქართველობა, უთუოდ კმაყოფილებით დაიხსომებდა ამ ამბავს.

ამ ხელშეკრულების დადებიდან 8 თვის თავზე საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დასაპყრობად ომი დაიწყო. 1920 წ. ოქტომბრიდან საქართველოს მთავრობას უკვე გარკვეული ცნობები ჰქონდა ჩვენს საზღვრებზე რუსული ნაწილების თავმოყრის შესახებ. 1921 წ. 11 თებერვალს იერიში დაიწყეს. საქართველოს მთავრობის შეკითხვაზე, საბჭოთა ელჩი ტფილისში, შეიმანმა განაცხადა, რომ ამ ბრძოლების შესახებ საბჭოთა მთავრობამ არაფერი იცის, — ალბად სომხური ჯარიაო.

14 თებერვალს ქართულმა ჯარმა მოწინააღმდეგის რამოდენიმე ტყვე ჩაიგდო ხელთ. ცხადი გახდა, რომ საბჭოთა ელჩი უტიფრად ტყუოდა: ეს იყო საბჭოთა ჯარი, ცენტრალური რუსეთის გუბერნიებიდან გაწვეული ჯარისკაცებით.

ასე დაიცვა საბჭოთა რუსეთმა ნებაყოფლობით, ოფიციალურად ნაკისრები ვალდებულება. აქ გამოირკვა სტალინის მუხანათური როლიც: როცა ის მოსკოვში ურატაძეს დახმარებას პირდებოდა და ჩიჩერინ-კარახანს ურჩევდა ქართველების დაკმაყოფილებას საჭირო ბრძანებები უკვე გაცემული ჰქონია საქართველოს დასაპყრობათ რუსული ჯარები კავკასიისაკენ დაძრულიყო. ურატაძეს ხელცარიელი მოსკოვიდან ტფილისში დაბრუნება ქართველების ეჭვებს გააძლიერებდა: იქნებ ახალი ნაწილების მობილიზაცია მოეხდინათ, ან იქნებ რაიმე კონცესიების ფასად, რომელიმე „კაპიტალისტური“ ქვეყნის დახმარებაც მიეღოთ. ეს მდგომარეობას გაართულებდა და სტალინ-ორჯონიკიძეს გეგმის განხორციელებას გააძნელებდა. საჭირო იყო ქართველების დამშვიდება და მათი ეჭვიანობის მიძინება. ეს კი შეიძლებოდა მხოლოდ მათთვის სასურველი ხელშეკრულების დადებით. მარქსისტების გაგებით „მიზანი ამართლებს საშუალებას“. მარქსიზმის ყველა სხვა დებულებათა შორის, სტალინმა ეს დებულება იცოდა უკეთესად. მიზნის მისაღწევად მისთვის ყველა არსებული და წარმოსადგენი საშუალება მისაღებია. საქართველოს დაპყრობით „რევოლუციისათვის შენაძენი“ იმდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ კონტრრევოლუციურ, მენშევიკურ მთავრობასთან ხელშეკრულების დარღვევას, მას არავინ უსაყვედურებდა. საქართველოს დაპყრობით სტალინი დიდი ხნიდან შელახულ თავმოყვარეობის გრძნობასაც იკმაყოფილებდა — პირადი და პარტიული კონკურენტების, მენშევიკების ბატონობას ბოლოს უღებდა და 15 წლით უფრო ადრე ხალხის მიერ უარყოფილი და დამარცხებული, რუსეთიდან გამარჯვებული ბრუნდებოდა.

† ალ. ცომაია

## 1924 წლის აგვისტო

საქართველო: ერი, ბერი, მღვდელი, ინტელიგენტი, მუშა და გლეხი. მათ ყველას ერთნაირად უძგერდათ გული, მათი მისწრაფება იყო საქართველოს დამოუკიდებლობა.

მაგრამ ეს ყველაფერი იყო 50 წლის წინ. 50 წელიწადი საკმარისი დროა ხალხის ჰარდასაქმნელად და მისი გუნებგანწყობილების შესაცვლელად.

იქნება ხანგრძლივმა უცხოეთში ცხოვრებამ დაგვაშორა მშობელი ერის ფსიქოლოგიას და მის მისწრაფებებს? იქნება საქართველო სრულებითაც აღარა ფიქრობს თავის თვითმყოფობაზე და ჩვენ, ემიგრანტები ვცხოვრობთ ისტორიული დატების აღნიშვნით — ამ ტკბილ-მწარე მოგონებებით?

ამისათვის საჭიროა ცალი თვალი მაინც გადავავლოთ განვლილ 50 წლის მანძილზე წარმოშობილ მოვლენებს.

1924 წლის შემდეგ მრავალჯერ გამოვლინდა ქართველი ერის ურყევი ნების ყოფა, რომ უნდა იყოს დამოუკიდებელი. რუს ბოლშევიკებმა სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა სახელი შეარქვეს მას. მაგ.: 1928 წ. ლეჩხუმის პატრიოტულ მოძრაობას, ბანდიტების გამოსვლა უწოდეს, 1930 წელს —აღმოაჩინეს“ ეხლა და სხვა სახის „შეთქმულებები“, 1932 წ. კოლექტივიზაციის წინააღმდეგ კულაკების გამოსვლა და ანტი რუსული ლოზუნდები, რომლითაც არღვევდნენ ხალხთა ლენინურ ძმობას, 1936-37 წლებში „პარტიულ წმენდებს“ თან მიაყოლეს მთელი ჩვენი ინტელიგენცია, 1956 წელს ქართველი სტუდენტების „დემონსტრაცია“, რომელიც ხრუშჩოვ-მიქოიანმა „პროსტალინურად“ მონათლა და როდესაც რუსულმა ტანკებმა და ტყვიამფრქვევებმა ქართული ახალგაზრდების სისხლით წითლად შეღებეს თბილისის მწვანე მდელო და სულ წლინახევრის წინ, კვლავ ქართველი ახალგაზრდობის მამულიშვილური გრძნობის გამოვლინება და ორჯონიკიძეს მიერ დადგმულ „წითელი არმიელის“ ძეგლის აფეთქება, ნათლად მეტყველობს, რომ საქართველოს ეროვნული მაჯის ცემა კვლავ მიისწრაფის დამოუკიდებელი თვითარსებობისაკენ.

მართალია, უკანასკნელ „არეულობაში“, „წითელ არმიელის“ ძეგლთან ერთად დაზარალდა ჩვენი საამაყო ოპერის თეატრიც, მაგრამ, შეადარეთ, თუ რამდენი მსგავსებაა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებასთან, როდესაც, აჯანყებულებმა სენაკის დაკავებისთანავე ლენინის ძეგლთან ერთად რუსთაველისაც მიამსხვრიეს. აზვირთებულმა ხალხმა ყველაფერი მოსპო, რაც ლენინის მოედანზე დაინახა . . .

როგორცა ვხედავთ, 50 წლის მანძილზე არაფერი არ გამოცვლილა. თვით რუსული „პოლიტრუკებისა“ და კომისრების მიერ აღზრდილი ქართველი ახალთაობა, რუსულ ბარაბანზე არა ხტის; სამშობლოს იდეა გულს უსვენია და რუსეთის უკიდურეს დაწოლის ჟამს, კიდეც ავლინებს, რომ „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“.

მაშასადამე, ჩვენ, ჩვენი ერის განცდებს არ დავშორებულვართ და მისი გულის ნადების თანამგზავრნი ვართ.

ჩვენი მოვალეობაა, ამიერიდანაც, ფხიზლად ვადევნოთ თვალ-ყური საქართველოში წარმოშობილ მოვლენებს, არ დავშორდეთ ქართველი ხალხის ფსიქოლოგიას და ვიყოთ მისი სიტყვისა და აზრის გარეთ გამტანნი.

ერისა და ქვეყნის საუკეთესო სამსახური, ჩვენს სულიერ ამაღლებაშია; ამაღლება პირადულობაზე და ცალკეულობაზე.

საუკეთესო დაფასება ეროვნული ტრაგედიისა, ჩვენს თვითმიძღვნაშია.

ჩვენი ისტორია ამტკიცებს, რომ სიმრავლე არა სწყვეტს საკითხს, არამედ, და მხოლოდ ნებისყოფა. უნდა გვახსოვდეს, რომ „დიდთა ხეთა მოერევის მცირე დასწვავს ნაპერწკალი“.

დიდება სამშობლოსათვის აღსრულებულებს.

მ. სინდიკელი

## სიამაყისა და სევდის დღე

1924 წლის აგვისტოს აჯანყებას ქართულმა საზოგადოებამ საგანგებო კრება მიუძღვნა.

გასული სექტემბრის 21-ს, სასტუმრო ბილტმორის დარბაზში თავმოყრილ ქართველობას, საზოგადოების თავმჯდომარემ, — ქ-ნ ელ. ცომაიამ აუწყა, რომ დღეს ვიგონებთ 50-თი წლის წინ მომხდარ ამბავს და განაცხადა: არავის ეგონოს, რომ ამას ჩვენ აღვნიშნავთ, როგორც ისტორიულ დატას, არამედ რომ ეს შეიქმნას დამოუკიდებლობისთვის ბრძოლი ერთი ზედმეტი ბიძგი. საქვეყნო მიზნისათვის გაღებული მსხვერპლი უშედეგოთ და უნაყოფოდ არასოდეს არ იკარგება.

ჩვენც, დღევანდელი შეკრებილობით ამ დიად ამბავის წინაშე მუხლს ვიდრეკთ და სასოებით ვიგონებთ მათ სახელებს, რომლებმაც სამშობლოს უზენაესობას შესწირეს თავისი სიცოცხლე და ანდერძად დაგვიტოვეს დამპყრობელ ძალასთან შეურიგებლობა და თავდაუზოგველი ბრძოლა.

მადლობას მოვახსენებ ყველას, როგორც თანამემამულეებს, ისე უცხო სტუმრებს, რომლებმაც დიდი თანაგრძნობით და სიმპატიით მიიღეს ჩვენი მიპატიჟება და გაიზიარეს ჩვენი მწუხარება და იმედიო.

შემდეგ თავმჯდომარე სთხოვს დამსწრე საზოგადოებას წამიერი სიჩუმით და ფეხზე ადგომით პატივი სცენ სამშობლოსათვის აღსრულებულთა ხსოვნას.

ამ ფორმალობის შემდეგ, თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ბ-ნ გ. ზალდასტანიშვილს, რომელმაც ინგლისურ ენაზე წარმოსთქვა სიტყვა და ბ-ნ გ. ნაკაშიძეს. ორივე ამ სიტყვის შინაარს მკითხველი წინამდებარე გაზეთის ფურცლებიდან გაეცნობა.

სიტყვები წარმოსთქვეს უკრაინელების და ბელორუსების წარმომადგენლებმა.

აღსანიშნავია, რომ სამგლოვიარო კრებას არ ემჩნეოდა გლოვის ზარი და სევდა . . . თითქოს საზეიმო ელფერი გადაჰკრავდა თვით აჯანყების მონაწილეებს, ან მისგან უშუალოდ დაზარალებულებს. 50-თი წლის თავზე, თითქოს გუშინ, გრძნობდნენ და განიცდიდნენ, თუ რა დიდ ეროვნულ საქმეს მიეძღვნენ მათი მახლობელ-ნათესავები და მეგობრები და რას ეძღვნებოდა თვით მათი სიცოცხლე.

არ მენახა, გამიკვირდა, ერთად შეზავებული, შერწყმული, გლოვის და სიამაყის განცდა!

მეთვალყურე

97
ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ წიგნთა გამო

(დასასრული. იხ. „ქ. აზრი“ № 95)

მოგვყავს შემოკლებული ტექსტი მოხსენებისა, კავკასიური სამხედრო ერთეულების აღრიცხვის, განლაგების და საერთო მდგომარეობისა, რომელიც ქართული შტაბის სამხედრო განყოფილებამ წარუდგინა კავკასიური შტაბების საბჭოს და გენერალ კოისტრინგს.

... „1941/42 წელს გერმანული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის მიერ ჩამოყალიბდნენ:

ქართული „თამარ პირველი“, „თამარ მეორე“ და განსაკუთრებული სამხედრო ნაწილი კავკასიური „ბერგმანი“. 1943 წელს „ბერგმანი“ მთავარსარდლობის ნაცვლად არმიის განკარგულებაში გადაიყვანეს.

გერმანულ არმიის ფარგლებში 1942 წლის თებერვლის 22-ს, აგრეთვე შეადგინეს კავკასიური ლეგიონები: ხოლო მათგან წარმოიშვნენ ლეგიონის საველე ბატალიონები. ათი სომხური, რვა აზერბაიჯანული, თორმეტი ქართული და რვა ჩრდილო კავკასიური. თითო ბატალიონში ირიცხებოდა ათასამდე ჯარისკაცი, ხოლო ლეგიონში შედის ათასიდან ორი ათასამდე სარეზერვო ჯარისკაცი. გარდა ამისა სამოცდამეორე გერმანულმა დივიზიამ თავის ფარგლებში ჩამოაყალიბა სამასმეთოთხმეტე აზერბაიჯანული რეგიმენტი (პოლკი).

კავკასიელ ჯარისკაცთა რიცხვი ლეგიონებში და საველე ბატალიონებში უდრის 48.700-ს. ამათგან: სომხები 11.000, აზერბაიჯანელები 13.600, ქართველები 14.000, ჩრდილო კავკასიელები 10.100. კავკასიელ ჯარისკაცთა რიცხვი მომმარაგებელ და ალმაშენებელ ნაწილებში არის 21.595. სომხები 7.000, აზერბაიჯანელები 4.795, ქართველები 6.800, ჩრდილო კავკასიელები 3.000. კავკასიელთა რიცხვი ზემო აღნიშნულ ერთეულების გარეშე, სხვადასხვა გერმანულ ნაწილებში უდრის 32.000. ამგვარად, ჯარისკაცთა საერთო რიცხვია 102.295.

1942 წელს, თითქმის, ყოველი ბატალიონი ფრონტზე გაიყვანეს, უმეტესობა კავკასიაში. მათ შორის: აზერბაიჯანული 804 — ყუბანში; 805, 906, I/III — მალგობეკთან და ორჯონიკიძის მახლობლად. სომხური: 809, 810 — ჩრდილო კავკასიის ხეობებში, ქართული: 795 ბაქსანზე და ურუხზე; I/9, II/4, 796 და I/I — ყუბანში.

ჩრდილო კავკასიური: 842, 843, 803, 836, 835 — ყუბანში, ნალჩიკთან, მალგობეკთან და ჩერეკთან.

კავკასიური „ბერგმანი“ ტერეკ, მოზდოკ, მალგობეკ, სტარო ფედოროვსკაია, ბაქსან, ნალჩიკში. დანარჩენი ბატალიონები აღმოსავლეთ ფრონტის სხვა ნაკვეთებზე დანაწილდნენ. თითქმის ყოველმა ბატალიონმა ბრძოლის დროს დიდი დანაკლისი განიცადა. განსაკუთრებით კი: 805, 806, 842, 843, II/4, I/9, 796.

1942-43 წლის ზამთარში, უკან დახევით ბრძოლების დროს მათ შეუერთდა 7 ათასი ჩრდილო კავკასიელი მოხალისე. ამ ლტოლვილთა ბრიგადამაც მძიმე მსხვერპლი გაიღო და დიდი სიძნელეების შემდეგ ჩრდილო იტალიას მიაღწია.

უკან დახევის შედეგად ზოგიერთი ნაწილი ყირიმში მოხვდა და პერიკოპთან და სივაშთან ბრძოლებში მათ თავი ისახელეს, განსაკუთრებით „ბერგმანმა“. მოგვიანებით ეს ნაწილები ხმელეთიდან მოჭრილ ყირიმის დაცვითი ბრძოლების შემდეგ, დიდი სიძნელეებით გამოიყვანეს.

1943 წლის შემოდგომაზე, მრავალი ერთეული გერმანული არმიის მთავარი შტაბის განკარგულებით, სანაპირო ხაზების დაცვის სისტემაში, დასავლეთში გადაიყვანეს. მაგ. სომხური ბატალიონი 812 — ჰოლანდიაში, აზერბაიჯანული 807 და 804 — საფრანგეთში (სანტ რაფაელ), ქართული 822 — ჰოლანდიაში (ცანდვორტ), 795 — საფრანგეთში (შერბურგ), 823 — კუნძული გერნზეი, 797 — საფრანგეთში (ლა ჰაი დუ პუი), 798 — (სან ნაზარი), 799 — (პერიგო), II/4 და I/19 საფრანგეთში — (ალბი-კასტრის მიდამოებში).

ჩრდილო კავკასიური 800, 835, 836, 803 — საფრანგეთში (ნორმანდიაში) და ჰოლანდიაში.

კავკასიური ლეგიონები — სამხრეთ საფრანგეთში კასტრი და ტულონის მიდამოებში.

იტალიაში: ქართული ბატალიონი II/198 და აზერბაიჯანული რეგიმენტი (პოლკი) — 314 — გერმანულ ასსამოცდამეორე დივიზიის ფარგლებში.

გერმანიის არმიის მთავარსარდლობის ბრძანებით ბალკანეთში დარჩნენ: სომხური ბატალიონი — 814; ქართული ბატალიონი — „ბერგმანი პირველი“. ჩრდილო კავკასიური — 842, 843, და „ბერგმანი მესამე“.

აღმოსავლეთ ფრონტზე დანაწილდნენ შემდეგი ბატალიონები: აზერბაიჯანული — 817, 818, 819, I/III, „ბერგმანი მორე“ და თითქმის ყველა მშენებელი და მომმარაგებელი ერთეულები.

1944 წლის ივლისს დასავლეთის სამხედრო ძალების მიერ, საფრანგეთის ინვაზიის შედეგად მრავალი სამხედრო ნაწილი მძიმეთ დაზიანდა. ზოგი მათგანი გარემოცულობიდან ვერ გამოვიდა. მაგ., ბატალიონები; 795, 797, 798, II/4, I/9, 807, 800, 823. ბატალიონებმა 835 და 836-ტმა იქ ბრძოლებში, 30-40% ჯარისკაცებისა დაკარგეს. აგრეთვე განადგურდნენ სხვა პატარა ერთეულები გერმანულ ნაწილებთან. ამავე დროს აღმოსავლეთ ფრონტზე სერიოზულად დაზიანდნენ; 817, 818, 819, I/III და „ბერგმანი მეორე“. ყველაზე მეტი დაკარგა მშენებელთა ნაწილებმა, აღმოსავლეთ პრუსიაში და კერძოდ კოენიგსბერგში.

ბალკანეთში, ამ ჟამად, ბრძოლებში მონაწილეობენ: ქართული — „ბერგმანი პირველი“, ჩრდილო კავკასიური — 842 და 843. მათ საბერძნეთიდან მძიმე ბრძოლებით უკან დაიხიეს.

იტალიაში კვლავ იმყოფებიან: ქართული ბატალიონი — II/198 და აზერბაიჯანული რეგიმენტი 314. დანიაში სანაპირო ხაზზე გადაიყვანეს ქართული ბატალიონი — 799.

კავკასიური ლეგიონები (სარეზერვო ნაწილები) აღმოსავლეთის ფრონტზე გააგზავნეს, თავდაცვის ხაზის ასაშენებლად ...“

ამ მოხსენების განხილვის შემდეგ, კავკასიური შტაბების და გენერალი კოესტრინგის შტაბის მიერ გადაწყდა: ომის უკანასკნელი ეტაპის დროს, შეთანხმებული ღონისძიებით ემოქმედნათ, რათა ჯარისკაცები გადერჩინათ და კავკასიური პოლიტიკისათვისაც ხაზი გაესვათ, რაც ზემოდ უკვე ნახსენები იყო და ამიტომ მოკლედ ვიმეორებთ. კავკასიელი ოფიცრების ხელმძღვანელობით, — სამხედრო ერთეულები დასავლეთის შესაფერის ადგილებზე შეჯგუფდნენ, იმ იმედით, რომ კავკასიური საბჭოს წარმომადგენლების მოლაპარაკება ამერიკელებთან და ინგლისელებთან, სასურველ შედეგს გამოიღებდა. ამავე დროს გენერალი კოესტრინგის და კავკასიური შტაბების სამხედრო განყოფილებათა გაერთიანებული ცდით არმიის განკარგულებაში მყოფ კავკასიურ სამხედრო ნაწილებს ასცდათ ჰიმლერის განკარგულებაში გადასვლა. (ჰიმლერმა, რომელიც ასეთი ნაწილების შედგენის დაუძინებელი მტერი იყო, ომის დამთავრების წინ გადაწყვიტა ვლასოვის და სხვა არა რუს ნაწილების თავის ორგანიზაციის ზედამხედველობის ქვეშ მოექცია).

საუბედუროდ, დასავლეთ დემოკრატიის იმ დროინდელ ლიდერების განწყობილების გამო, ჩვენი იმედები,რომ ხალხი გადაგვერჩინა, არ განხორციელდა. დასავლეთში თავ მოყრილ კავკასიელ ჯარისკაცებს, სამუშაოდ წაყვანილ ლტოლვილებს და ტყვეთა ბანაკებში მყოფები ძალით გადასცეს რუსეთს. ამათგან, მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა თავის გადარჩენა. ინგლის-ამერიკის მმართველი წრეების ამგვარი მოქცევა, იალტის ხელშეკრულებამდე (1945 წ. თებერვალი) დაიწყო და ჟენევის კონვენციის და დასავლეთ დემოკრატიის ტრადიციულ, ჰუმანისტურ პრინციპების დარღვევის ფუხში მავალითია.

იალტის ხელშეკრულებამ ეს მოვლენა მხოლოდ განამტკიცა.

ისტორია სამარცხვინო ადგილს მიუჩენს ამაში მონაწილეებს, განსაკუთრებით კი — „დიდი“ სახელების მქონე მოღვაწეებს.

დასავლეთ დემოკრატიული ქვეყნების ყოველმა მოქალაქემ უნდა წაიკითხოს ჯულიუს ეპშტაინის წიგნი „ოპერეიშენ კეელხაულ *) წიგნი მთლიანად ეძღვნა ძალდატანებით რეპატრიაციას. აგრეთვე მათ უნდა წაიკითხონ ალ. სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგი“, სადაც ზოგ „გადაცემულ“ უბედურთა ხვედრი არის აღწერილი. (ამ წიგნებში კავკასიელები სპეციალურად არ არიან ნახსენები და ლაპარაკია საერთოდ საბჭოთა მოქალაქეებზე).

კრემლი სასტიკად გაუსწორდა არა მარტო ყოფილ ლეგიონერებს, არამედ, მათთაც, ვინც უბრალო მუშებად, ან ტყვეთა ბანაკებში გაატარეს დრო. როგორც ვიცით, ტყვეთ ჩავარდნაც დანაშაულად ჩაუთვალეს, ხოლო ვინც ხელში არ ჩაუვარდათ, მათ მშობლებს და ახლო ნათესავებს დაატყდათ თავზე რეპრესიები. ხრუშჩოვის დროს, უდანაშაულო მშობლები გაანთავისუფლეს: აგრეთვე „რეაბილიტაცია“ გაუკეთეს, წარსულში ათასობით სიკვდილით დასჯილ და გადასახლებულებს, რომელთა დიდი ნაწილი გადასახლებაში დაიღუპა, გარნა, ცხადია, ისინი საფლავებიდან ვეღარ წამოაყენეს.

საბჭოთა პროპაგანდისტებს რომ საკმარისი ჭკუა ჰქონდეთ, მიხვდებოდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ამ მოვლენებზე, მათთვის სრული სიჩუმე აჯობებდა, რადგან იქ შექმნილმა პირობებმა აიძულეს კავკასიელები, სხვა არა რუსი ერები და თვით რუსებიც, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიისათვის მიემართათ ჯოჯოხეთური ცხოვრებისაგან თავის დასაღწევად. რუსეთის ისტორიაში არ მოიძებნება ვლასოვის მსგავსი მაგალითი, რომ რამოდენიმე ასი ათასი რუსი ჯარისკაცი, ომის დროს, მტრის მხარეზე გადასულიყო, ხელში იარაღი აეღო და თავის ქვეყანაში არსებული რეჟიმის დასამხობად თავგამოდებით ებრძოლა. არარუს ერებს, ჩვენი აზრით, ასეთი მოქმედების უფრო მეტი მიზეზი ჰქონდათ. საერთოდ, მათ გერმანია ევროპის წარმომადგენლად მიიჩნიეს და მისგან ეროვნულსა და პიროვნულ თავისუფლებას ელოდდნენ, გარნა მისი იმ დროინდელი სისტემის და ზრახვების აწონის საშუალება, ცხადია, მათ უნარს აღემატებოდა.

ჰიტლერის არა ადამიანურმა რეჟიმმა ამ ხალხის ნდობა არ გაამართლა. შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ დაახლოვება და თანამშომლობა იმ გერმანელებთან, რომლებიც ჰიტლერის პოლიტიკას არ იზიარებდნენ და სოლიდარულნი იყვნენ კრემლის მიერ დამონებულ ადამიანთა მიმართ და ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი დახმარება სურდათ.

ეს იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ შორის ახალი ურთიერთობის დამყარების ცდა, სადაც რუსები და არა რუსებიც ეროვნული და პიროვნული თავისუფლების პრინციპის დაცვით გახდებოდნენ ხალხთა საერთაშორისო ოჯახის წევრები.

რაც შეეხება ქართველებს, მათ იმედი ჰქონდათ, რომ გერმანია გააგრძელებდა პირველ მსოფლიო ომის შემდეგ დამყარებულ ქართულ-გერმანულ მეგობრობას, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში რომ წარმოიშვა. მაშინდელმა გერმანულმა პოლიტიკურმა წრეებმა, მთავრობამ და მხედრობამ დიდი დახმარება გაუწია ახლად წარმოშობილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

გერმანიის იმ დროინდელი განწყობილება სამაგალითოდ არის ნაჩვენები, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწის, მეცნიერის და პროფესორის, აწ განსვენებულ მიხეილ წერეთლის ნარკვევში, გერმანულ ენაზე გამოცემული, სადაც იგი საუცხოვოდ აღწერს იმ დროინდელ საქართველოსაც *).

1974 წლის 26 მაისის სადღესასწაულო სხდომაზე ქართული კოლონიის გამგეობის თხოვნით, სიამოვნება მქონდა იქ დამსწრეთათვის მიმემართა. მინდა ეს წერილი იმით დავამთავრო, რაც იქ ითქვა საბოლოო ჯამში და აღარ გავიმეორებ, გარნა დავამატებ, რომ მრავალ რიცხოვანმა მეზობლებმა თავის იმპერიალისტურ ზრახვებს შესწირეს კავკასიის ერთა დამოუკიდებლობა და თავისუფლება. მათთვის ეს გაადვილდა, რადგან კავკასიელებმა ვერ შესძლეს შეკავშირება და გაერთიანებული ძალებით თავდაცვა, როგორც ეს ისტორიულად გვახასიათებდა. კავკასიის ისტორიაში ისეთი სამწუხარო მაგალითებიც მოგვეპოვება, როცა მტერი ერთიმეორის საწინააღმდეგოდ ამხედრებდა და ამ დაქსაქსულობას თავის სასარგებლოდ იყენებდა. მაგალითად: სპარს-თურქთა წაქეზებით ლეკების განუწყვეტელმა შ ე მ ო ს ე ვ ა მ აიძულა პატარა კახი რუსეთისათვის ეთხოვა დახმარება. თურქეთის შიშით, სომხები რუსოფილურად განიმსჭვალნენ და აზერბაიჯანელები სამხრეთისაკენ იყურებოდნენ. ამ ერების მრავალმა პასუხისმგებელმა მოღვაწემ ეს შეიგნო და მრავალი ცდები მოხდა კავკასიელ ერთა დაახლოვების, როგორც იქ, ჩვენს მშობლიურ მიწაზე, ისე ემიგრაციაში. „მეზობლური კინკლაობის“ ამბავი, განსაკუთრებით სომხების მხრივ, ჩვენამდე აღწევს. ზოგი დღევანდელი მათი „მეცნიერი“, სასომხეთის წარსულის ხოტბის დროს, საქართველოს ექიშპება და მის ისტორიულ მიღწევების დამცირებას ცდილობს. როგორც სჩანს მათი ქართველი „კოლეგები“ ხანგამოშვებით მაინც ახერხებენ პასუხის გაცემას, როცა კრემლის ცენზურა ამის საშუალებას იძლევა.

ამგვარი საქციელით მხოლოდ კავკასიის ერების მტრები ხარობენ და ეს მათ ინტერესებში შედის. საჭიროა კავკასიის გულშემატკივრებმა სათანადო ზომები მიიღონ, და არ წამოეგნენ „დაჰყავ და იბატონე“-ს პოლიტიკის ანკესზე.

გეოგრაფიის გარდა კავკასიელებს აერთიანებს მრავალი ზნე-ჩვეულება, ტრადიცია, და გარეგნობა: მწარე ისტორიული გამოცდილება, — რომ დაშლილი კავკასია ადვილი მსხვერპლი იყო ყოველი ჯურის იმპერიალისტების. წარსულ შეცდომებზე დაფიქრება და მათი გამოსწორება, ყოველი კავკასიელის მოვალეობაა. უადგილო არ იქნება გავიხსენოთ აზერბაიჯანის ყოფილ პრეზიდენტის — რასულ ზადეს სიტყვა, წარმოთქმული 1938 წელს.

... „აზერბაიჯანის კავკასიელი მოკავშირენი არიან ქართველები, ეს პოლიტიკურად მწიფე ქვეყანა, თავისი ძველი კულტურით, რომელმაც რუსთაველის სახით მსოფლიო ლიტერატურას დიდათ შემატა. ჩრდილო კავკასიელები, რომელთა ეროვნული გმირი, იმამ შამილი, თავისი გმირული წინააღმდეგობით რუსულ მხედრობას, კავკასიაში, 30 წ. მეტი გაუმკლავდა. ეს სამი დიდი კავკასიელი ერი, თავის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ერთმანეთთან არიან შეფიცულნი და 1934 წ. ბრუსელის კონფედერაციის პაქტით, ერთმანეთის მოკავშირენი.

მეოთხე კავკასიელი ერი, — სომხობა, რომელიც ჯერ-ჯერობით კიდევ განზე დგას, მისთვის ამ პაქტში ადგილი შემონახულია და მას ეს ადგილი ყოველ წუთს შეუძლიან დაიკავოს. ზემოთ ჩამოთვლილი კავკასიელი ერები დარწმუნებული არიან, რომ მათი მომავალი კეთილდღეობა დამოკიდებულია კონფედერაციის იდეის განხორციელებაზე ... “*)

მეორე მსოფლიო ომის დროს, უძნელეს პირობებში, კავკასიელთა საბჭო ერთსულოვნად გამოდიოდა კავკასიის ინტერესების დასაცავად, სომხების აქტიური მონაწილეობით, რამაც, უმეტეს შემთხვევაში სასურველი შედეგი გამოიღო.

იმედს გამოვთქვავთ, რომ ასეთი განწყობილება დამკვიდრდება დღევანდელ და მომდევნო თაობათა შორის აქაც და კავკასიაშიც, რაც მათ ძლიერ პოზიციას შეუქმნის.

ჩემის აზრით, ეს არის ანდერძი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მებრძოლმა კავკასიელებმა დაგვიტოვეს.

გ. გაბლიანი.

**
*

**G. A. Press**

ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

**Mr. G. Djakeli**
*535 E. 78 Street,*
*New York, N. Y. 10021*

ამავე მისამართიდ უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

*EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.*
*EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, Dr. G. Gabliani.*

752 Broadway
New York, N. Y. 10003
Tel. 473-0240